

F171  
1987

ISSN 0206-2674



საქართველოს  
სსრ განათლების  
მინისტრის  
გამომცემლობა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

**გ რ ე ბ უ ლ ი**

**10**

**С Б О Р Н И К**

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА  
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1987 — თბილისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

**კ რ მ ბ უ ლ ი**

**10**

**С Б О Р Н И К**

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА  
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

რედაქტორი ზ. ალადაშვილი

РЕДАКТОР З. АЛАДАШВИЛИ

ტექნიკური რედაქტორი ბ. ბაკურაძე  
Техредактор А. БАКУРАДЗЕ

კორექტორები: ლ. დოლიძე,  
ბ. ჯვალისვილი  
Корректоры: Л. ДОЛИДЗЕ,  
Б. ДВАЛИШВИЛИ

გადაეცა ასაწყობად 25-07-87 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22-10-87 წ.;  
ანაწყობის ზომა 6 $\frac{1}{4}$ ×9; ქაღალდის ზომა 60×84; საბეჭდი თაბაზი 4  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 3,75

შეკვეთა № 545

შ0 14059

ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7  
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе, № 7

**საქართველოს სსრ განათლებისა და შინაგან საქმეთა  
სამინისტროების გაერთიანებული კოლეგიის  
გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა  
შესაბამისად რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობას შორის  
შეზღუდული დისციპლინის განმტკიცების, სამართლებრივი ცოდნის  
პროპაგანდისა და მართლწესრიგის დარღვევათა თავიდან  
აცილების მიზნით რესპუბლიკის სახალხო განათლებისა  
და შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ 1985—1987 წლებში  
გაწეული ერთობლივი სამიანიონისა და მისი  
შემადგომი სრულყოფის შესახებ

17 აპრილი 1987 წელი

საქართველოს  
სსრ

საქართველოს სსრ განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებული კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოები შეუწყვეტელ ყურადღებას უთმობენ მოსწავლე ახალგაზრდობას შორის დისციპლინის განმტკიცებას, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას, სოციალისტური თანაცხოვრების წესისა და კანონებისადმი პატივისცემას, დისციპლინისა და მართლწესრიგის ნებისმიერი დარღვევებისადმი შეუპოვებლობის გრძნობის ფორმირების საკითხებს.

არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით გაწეული მუშაობის გააქტიურების, ამ საქმეში რესპუბლიკის განათლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი, სისტემატური საქმიანობის შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულობანი, ასევე მათში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობაც. მიუხედავად ამისა, კვლავ დიდია მოსწავლეთა წილი ისეთ მძიმე დანაშაულობებში, როგორცაა მკვლელობა, სხეულის დაზიანებები, სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა, ძარცვა, მაღალი რჩება ჯგუფური დანაშაულის მაჩვენებლები. ჯერ კიდევ არასაკმარისი მუშაობაა გატარებული სკოლიდან განთესილი, სწავლითა და შრომით დაუსაქმებელი მოზარდების სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმის მიზნით. სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა ალკოჰოლიკთა და ნარკომანთა კმაყოფაზე მყოფი ბავშვების გამოვლენას, ალკოჰოლიზმის დაძლევის შესახებ მიღებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებას. შემ-

საქ. სსრ კ. შარქიანი

1	2	3	4	5
	სათვის მიუხედავად იმისა, რომ ამაზე არსებობს მთავრობის ნებართვა.		ნისტროები, ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი	
49	დაბალია მოქმედი სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული დონე.	აშ. ნ. სამნიაშვილი, გორის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, გამომცემლობათა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტი	ბ. თალაკვაძე, ნ. ლლონტი
50	არასაკმარისია ექიმების, კერძოდ, ნარკოლოგების მუშაობის დონე ზავშეთა და მოზარდთა შორის ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის პროფილაქტიკის საქმეში, საიბრთა გამდიდრდეს კონტროლი აღგილებზე ზავშეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი.	აშ. კ. პ. სტომატოვი, ქ. მარნეულის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორი, აშ. გ. ს. კაუფმანი, რუსთავის მე-12 საშუალო სკოლის დირექტორი	საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები	ლ. ვაგვა, ბ. თალაკვაძე, ე. ზარქუა, თ. ტატიშვილი
51	სკოლაში მამაკაცი მასწავლებლების მოზიდვის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია უმალდეს პედაგოგიურ მასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს აბიტურენტი ვაჟებისათვის შეღავათების მიცემა.	აშ. ნ. ი. სამხარაძე, ზესტაფონის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე, აშ. ძ. გ. შელიძე, ვანის რაიონის სოფელ ციხესულორის საბავშვო ბაღის გამგე, აშ. მ. ს. თედია-	საქართველოს სსრ განათლებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური გა-	ნ. ჩიცილაძე, გ. ლასხიშვილი



1. 2. მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის, მტკიცე მორალის  
მდგრადობის, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მიზნით შემოქმედებითად გამოიყენონ სკოლებში სასწავლო დისციპლინის „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“, „კომუნისტური მორალის საფუძვლები“ ფაკულტატიური კურსის შესაძლებლობანი.

1. 3. მეტი ყურადღება დაუთმონ არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევის პროფილაქტიკას, დროულად გამოავლინონ და მკაცრ პედაგოგიურ კონტროლს დაუქვემდებარონ ე. წ. „ძნელად აღსაზრდელი“ კატეგორიის მოზარდთა ქმედება, გააძლიერონ ბრძოლა ადრეულ ასაკში ლოთობის, ნარკომანიის ფაქტების გამოვლენისა და თავიდან აცილების მიზნით.

1. 4. იზრუნონ მოსწავლეთა „ქცევის წესების“ მოთხოვნების თითოეულ მოსწავლემდე დასაყვანად და მისი განუხრელად შესრულებისათვის, აამაღლონ მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის ორგანოების როლი, გაააქტიურონ „ნორჩ ძერჟინსკელთა“, „ნორჩ ავტორისპექტორთა“ რაზმების, მცირე იურიდიული კონსულტაციების კლუბების მუშაობა.

1. 5. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მომუშავე ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმას. გააძლიერონ კონტროლი მათ მიერ არასაპატიო მიზეზით ვაკეეთილების გაცდენისა და შინასასკოლო დისციპლინის განმტკიცებაზე.

1. 6. შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების თანამშრომლებთან ერთად გაატარონ მიზანმიმართული და ეფექტური ღონისძიებანი არაკეთილსაიმედო ოჯახების ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებისაკენ მიდრეკილების მქონე მშობლების გამოსავლინებლად, არასასურველი ოჯახური გარემოდან მოზარდთა იზოლაციისათვის.

1. 7. განამტკიცონ საქმიანი კავშირი შინაგან საქმეთა განყოფილებებთან, მიმდინარე წლის მისამდე შეიმუშაონ მუშაობის კონკრეტული გეგმა.

2. შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა:

2. 1. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილებებთან ერთად დასახონ და პრაქტიკაში განახორციელონ კომპლექსური ღონისძიებები მოსწავლეთა შორის უხედამხედველობისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.

2. 2. განამტკიცონ საქმიანი კონტაქტები სკოლებთან ინფორმაციის დროული ურთიერთგაცვლის, ასევე სამართალდამრღვევი მოზარდების გამოვლენის მიზნით რეიდების, შემოვლებისა და სხვა პრო-



ფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებების ჩატარების საკითხში, აგრეთვე კუთრებული ყურადღება დაუთმონ დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილების მქონე არასრულწლოვანთა ჯგუფების გამოვლენას, დაშლას და მათი წევრების დადებით ორიენტაციაზე გადაყვანას.

2. 3. მიიღონ ზომები სკოლის მოსწავლეთა შორის ალკოპოლიზმის, ნარკომანიის და ტოქსიკომანიის თითოეული ფაქტის გამოსავლენად და აღსაკვეთად.

2. 4. განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გამოირიცხოს მოსწავლეთა მხრიდან ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღის, ასევე საჩხუბრად სპეციალურად მომარჯვებული საგნების ტარება, უზრუნველყონ აღნიშნულ კონტინგენტს შორის მოსალოდნელი მასობრივი ხულიგნობის ფაქტების დროულად აღკვეთა.

2. 5. სათანადო ყურადღება დაუთმონ აღრიცხვაზე მყოფ მოსწავლეებთან ეფექტური ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს. უზრუნველყონ აღნიშნული კონტინგენტის შაქსიმალური ჩაბმა წრეობრივ მუშაობაში, ასევე მათზე მიმავრებული საზოგადოებრივი აღმზრდელობისა და შეფების შესაძლებლობების გამოყენება.

2. 6. აქტიური დახმარება გაუწიონ სკოლების დირექტორებს მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების საქმეში, ჩაატარონ აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებებში ლექცია-საუბრები მოქმედი კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე. აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლებში შექმნილი პროფილაქტიკის საბჭოების მუშაობაში.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების 1986—1987 წლების ერთობლივი სამუშაო გეგმა.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს (ამხ. ტ. ვარდანაშვილი) შესაბამის განყოფილებას (ამხ. ა. სიმონიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრის პირველი მოადგილე  
ლ. გაბუნა

საქართველოს სსრ შინაგან  
საქმეთა მინისტრი  
უ. გორგოძე



საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს  
 სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიების, ცეკავშირის  
 გამგეობის, სახვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის  
 მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და  
 განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო  
 დაწესებულებების მუშაკთა, პროფკავშირის  
 რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმების  
 გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ გ ა

1986 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 1987 წლის 1-ლ აპრილამდე  
 პერიოდში საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო  
 სკოლების საზოგადოებრივი კვების საშუალებით სარგომოს  
 გამოსავლიანად დათვალნიერება-კონკურსის შედეგების  
 ბანხილვის შესახებ

28 მაისი 1987 წელი

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს  
 სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიებმა, ცეკავშირის გამგეობამ,  
 სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციისა და განათლების,  
 უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა  
 პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმებმა გა და  
 წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცდეს ქუთურის 1987 წლის 12 მაისის სხდომის ოქმი რეს-  
 პუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვე-  
 ბის საუკეთესო საწარმოსათვის დათვალნიერება-კონკურსის შედეგე-  
 ბის შესახებ.

2. I საბრიზო ადგილები არ მიეკუთვნა არც ერთ სკოლას იმის  
 გამო, რომ მათ მიერ სრულად არ იყო დატული დათვალნიერება-კონ-  
 კურსის ყველა პირობა.

3. აღიარებულ იქნან გამარჯვებულებად და მიეკუთვნოთ II ად-  
 გილი და პრემია 200 მანეთის ოდენობით შემდეგ კოლეტივებს:

3. 1. ბათუმის მე-10 საშუალო სკოლას (დირექტორი ე. ა. საფა-  
 როვა) და სასადილოს (გამგე ე. ი. ფირცხალაშვილი).

3. 2. რუსთავის 24-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ლ. გ. გო-  
 ვორკოვი) და სასადილოს (გამგე მ. ი. ლოლობერიძე).

3. 3. გაგრის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი ა. ლ. კანბა) და  
 სასადილოს (გამგე ე. დ. პოპონდოპული).

3. 4. ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი შ. პ. ჯინ-  
 ქარაძე) და სასადილოს (გამგე ბ. ვ. ქვათაძე).



4. III ადგილი და პრემია 150 მანეთის ოდენობით მიეკუთვნება შემდეგ კოლექტივებს:

4. 1. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლას (დირექტორი დ. ს. მაგლობლიშვილი) და სასადილოს (გამგე ლ. ვ. წიწილაშვილი).

4. 2. ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლას (დირექტორი პ. პ. შველიძე) და სასადილოს (გამგე ე. ვ. მანჯგალაძე).

4. 3. თელავის რაიონის სოფელ იყალთოს საშუალო სკოლას (დირექტორი ნ. გ. ბერძენიშვილი) და სასადილოს (გამგე დ. ს. გარსევანიშვილი).

4. 4. თბილისის ოქტომბრის რაიონის 36-ე საშუალო სკოლას (დირექტორი კ. დ. სიმონგულაშვილი) და სასადილოს (გამგე კ. ა. კოკოლაშვილი).

5. აღინიშნოს გორის მე-7 საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ს. ზექალაშვილი) კარგი ინიციატივა სკოლის სასადილოს ესთეტიკური გაფორმების საქმეში და გადაეცეს ქების სიგელი.

6. აღინიშნოს, რომ დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ ქალაქებს: ზუგდიდს, წყალტუბოს, სოხუმს, ტყვარჩელს, ცხინვალს, აბაშის, ახალციხის, ახმეტის, ვანის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ქარელის, კასპის, მაიაკოვსკის, წყნეთის, საგარეჯოს, თერჯოლის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ქ. თბილისის გლდანის, ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, საქარხნო, საბურთალოსა და 26 კომისრის რაიონებს.

7. სახალხო განათლების ორგანოებმა, პროფკავშირის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სავაჭრო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო კვების ორგანიზაციას. დროულად მიიღონ ზომები აღნიშნულ საკითხში ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

8. სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა დააწესონ მკაცრი კონტროლი რეაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აშენებასა და ჩაბარებაზე: არ დაუშვან სკოლების ექსპლუატაციაში გადაცემა დაუკომპლექტებელი კვების ბლოკით.

9. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების პრემირება მოხდეს ვაჭრობის სამინისტროსა და „ცეკავშირის“ გამგეობის სახსრებით, ხოლო სკოლის მუშაკებისა — განათლების სამინისტროს სახსრებით.

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზვეების



სამმართველოს (ამხ. გორგოძე), საქართველოს სსრ განათლების მინისტრის საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი), ცეკავშირის გამგეობის საზვევების სამმართველოს (ამხ. ებრაღიძე).

საქართველოს სსრ ვაკრობის მინისტრი ბ. მოვსენიანი	საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. ვასაძე	ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. შავიშვილი
---	---	---

სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე  
ნ. ბაგაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე  
მ. კობახიძე

**ც ნ ო ბ ა**

რისაუბლიკის ზოგადსაზნაუნათლებლო სკოლებში საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს გამოსავლენად დათვალეირება-კონკურსზე 22 ქალაქისა და რაიონის 30 სკოლის სასადილოს მიერ წარმოდგენილი მასალები და აღნიშნავს, რომ დათვალეირება-კონკურსის ჩატარების დროს მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში მიღწეულია წარმატებები. ყიურის წინაშე წარმოდგენილ საწარმოთა რიცხვი 17-დან 30 ერთულამდე გაიზარდა, ცხელი კერძებით მომარაგება 67%-დან 70%-მდე, ხოლო ადგილებით უზრუნველყოფა — 3%-ით.

თბილისის მე-2 და რუსთავის მე-11 საშუალო სკოლებში, რომლებმაც ადრე საპრიზო ადგილები დაიკავეს, ჯერ კიდევ მიღწეული არ არის მომსახურების ის დონე და კვების ბლოკების ისეთი მდგომარეობა, რომელიც საჭიროა საწარმოსათვის I ადგილის დასაკავებლად ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მე-2 საშუალო სკოლაში არ ჩატარდა რემონტი, არ დაინერგა ჯგუფური აბონემენტები, გაუარესდა პროდუქციის ასორტიმენტი და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ

რუსთავის მე-11 საშუალო სკოლაში გაფართოვდა სასადილო და გაიზარდა დასაჯდომი ადგილების რაოდენობა საწარმოო სათავსოები კვლავინდებურად არ არის რეკონსტრუირებული და სრულად ვერ პასუხობს მოთხოვნებს.

ზოგიერთმა რაიონმა განსახილველად არასრულფასოვანი მასალები წარმოადგინა (სასადილოთა მუშაობის შესაბამისი აღწერის, სასადილოთა მუშაობაზე მშობელთა კომიტეტების გამომხატურების, სანეპიდსადგურის, სახინსპექციის და დარღვევების არქონის ცნობების გარეშე) ან წარმოდგენილი სასადილოები წარდგენილ მოთხოვნებს არ პასუხობენ (ადგილებით ნაკლები უზრუნველყოფა, ცხელი კერძებით მოსწავლეთა 40%-ზე ნაკლები უზრუნველყოფა და ა. შ.) — ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბის საშუალო სკოლა, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის სკოლა, ქ. ტყიბულის მე-6 საშუალო სკოლა, თიანეთის რაიონის საშუალო სკოლა, ცხინვალის რაიონის ვანათის საშუალო სკოლა და სხვა).

კონკურსზე წარმოდგენილმა ვერც ერთმა სასკოლო სასადილომ ვერ მიაღწია იმ შედეგებს, რომლებიც საჭიროა კონკურსის მოთხოვნებით პირველი საპრიზო ადგილის დასაცავებლად.

გორის მე-7 საშუალო სკოლამ კარგი ინიციატივა გამოიჩინა, როცა საკუთარი ძალებით ესთეტიკურ სტილში გააფორმა სასადილო და მას „ზღაპარი“ დაარქვა.

კონკურსში მონაწილეობა არ მიიღეს და მასალები არ გამოგზავნეს ქალაქებმა: ზუგდიდმა, წყალტუბომ, სოხუმმა, ტყვარჩელმა, ცხინვალმა, აბაშის, ახალციხის, ანაბეჯის, ვანის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ქარელის, კასპის, მაიაკოვსკის, მცხეთის, საგარეჯოს, თერჯოლის, წითელწყაროს, ცხაკაიასა და ჩხოროწყუს, ქ. თბილისის გლდანის, კალინინის, კიროვის, საქარხნო, საბურთალოსა და 26 კომისიის რაიონებმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსის ყიუზიმ პირველი საპრიზო ადგილი არც ერთ სასადილოს არ მიაკუთვანა.

სასკოლო სასადილოების მუშაობა შეფასდა ქულების შემდეგი რაოდენობით:

1. ქ. ბათუმის მე-10 საშუალო სკოლა — 86 ქულა
2. ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა — 83 ქულა
3. ქ. რუსთავის 24-ე საშუალო სკოლა — 80 ქულა
4. ვაგრის მე-2 საშუალო სკოლა — 80 ქულა
5. ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლა — 78 ქულა
6. ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლა — 70 ქულა
7. თელავის რაიონის სოფელ იყალთოს საშუალო სკოლა — 70

- 8. ზესტაფონის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა — 72 ქულა
- 9. ქ. ფოთის მე-2 საშუალო სკოლა — 69 ქულა
- 10. ქ. გორის მე-7 საშუალო სკოლა — 69 ქულა
- 11. ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლა — 68 ქულა
- 12. ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის საშუალო სკოლა — 66 ქულა
- 13. ქ. თბილისის 147-ე საშუალო სკოლა — 66 ქულა
- 14. ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლა — 64 ქულა
- 15. ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლა — 59 ქულა
- 16. ქ. ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლა — 59 ქულა
- 17. ქ. ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლა — 58 ქულა
- 18. ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლა — 57 ქულა
- 19. ვალის რაიონის სოფელ ოქუმის საშუალო სკოლა — 57 ქულა
- 20. ქ. ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა — 55 ქულა
- 21. გარდაბნის რაიონის მე-5 საშუალო სკოლა — 54 ქულა

ყოფილ შეფასა იმ სასკოლო სასაბიუჯეტო მუშაობა, რომლებიც არ პასუხობენ დათვალეობა-კონკურსის მოთხოვნებს და არ წარმოადგენს სრულყოფილი მასალები.

კონკურსში გამარჯვებულებად აღიარებულ იქნენ და მიეკუთვნათ: — II ადგილი და პრემია 200 მანეთის ოდენობით შემდეგ კოლექტივებს: ბათუმის მე-10 საშუალო სკოლას (დირექტორი ე. ა. საფაროვა, სასაბიუჯეტო გამგე ე. ი. ფირცხალაშვილი) — 86 ქულა, რუსთავის 24-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ლ. გ. გვეორქოვი, სასაბიუჯეტო გამგე მ. ი. ლოლობერიძე) — 80 ქულა, გაგრის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი ა. პ. კანბა, სასაბიუჯეტო გამგე ე. დ. პოპონდოპულო) — 80 ქულა, ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი შ. პ. ჯინჭარაძე, სასაბიუჯეტო გამგე ბ. ვ. ქვათაძე) — 83 ქულა.

— III ადგილი და პრემია 150 მანეთის ოდენობით მიეკუთვნათ რუსთავის მე-11 საშუალო სკოლას (დირექტორი დ. ს. მაგლობლიშვილი, სასაბიუჯეტო გამგე ლ. ვ. წიწიკაშვილი) — 78 ქულა, ზესტაფონის რაიონის მე-3 საშუალო სკოლას (დირექტორი პ. მ. შველიძე, სასაბიუჯეტო გამგე ე. ვ. მანჯავიძე) — 72 ქულა;

— თბილისის ოქტომბრის რაიონის 36-ე საშუალო სკოლას (დირექტორი — კ. დ. სიმონგულოვი, სასაბიუჯეტო გამგე კ. ა. კოკოლაშვილი) — 70 ქულა, თელავის რაიონის სოფელ იყალთოს საშუალო სკოლას (დირექტორი ნ. ტ. ბერძენიშვილი, სასაბიუჯეტო გამგე დ. ს. გარსევანიშვილი) — 70 ქულა.



ტერნატისადმი რაიონის 17 ორგანიზაცია-დაწესებულების სისტემატუ-  
რი ზრუნვა, კვებისა და გარეგნული ფორმის, აუცილებელი სამედიცი-  
ნო-პროფილაქტიკური მომსახურების საკითხებზე.

რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ხელმძღვანელობით  
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, საშე-  
ფო და საბაზო ორგანიზაციების შიგ შრომის კოლექტივებთან ერთად,  
გეგმავენ და ახორციელებენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70-ე  
წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.

ამასთან შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა კომუნისტური  
აღზრდის საქმეში სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლი-  
ვი მუშაობის კოორდინაციის თვალსაზრისით სახალხო განათლების გან-  
ყოფილებას აქვს სერიოზული ხარვეზები, რომელიც ხელს უშლის  
ცხოვრებაში სკოლის რეფორმის მიზანდასახულობათა წარმატებით რე-  
ალიზაციას. ბევრ სკოლაზე მიმაგრებული საბაზო და საშეფო დაწესებუ-  
ლება კვლავ ინერტულად მონაწილეობს მასზე მიმაგრებული სკოლების  
აღმზრდელობითი მუშაობის მეტად მნიშვნელოვან საკითხებში. სწავ-  
ლისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდაში მშობელთა კოლექ-  
ტივების, საბაზო დაწესებულებების, საზოგადოებრიობის წარმომად-  
გენლების ურთიერთქმედების არასაკმარისი, აღმზრდელობითი მუშაო-  
ბის შედეგია სწორედ ის, რომ რაიონის მოსწავლეთა დიდი უმრავლე-  
სობა სამოსანია.

სახალხო განათლების განყოფილების მხრიდან არასაკმარისი კონ-  
ტროლისა და ხელშეწყობის გამო ნაკლებად ეფექტურია მთელი რიგი  
სკოლების მშობელთა კომიტეტების მუშაობა (თელავის მე-8, სოფლე-  
ბის ნაფარეულის, ფშავლისა და ყარაჯალის). აღმზრდელობითი ზემოქ-  
მედების გატარების მიზნით მიიზიდონ და აქტიურად ჩააბან შრომითი  
კოლექტივების წარმომადგენლები, გულთან ახლოს მიიტანონ სკოლისა  
და საზოგადოებრიობის ურთიერთობის კონკრეტული საკითხები. არც  
ერთ მშობელთა კომიტეტს ჯერჯერობით არავითარი წინადადება არ  
შეაქვს პელსაბჭოებზე, უფრო მეტიც, მათი ანგარიშებით არ დაინტე-  
რესებულან პედაგოგიური კოლექტივები, თითქმის არსად არ ფუნქცი-  
ონირებს მამათა საბჭოები. „არაკეთილსაიმედო“ ოჯახებიდან გამოსულ  
ძნელად აღსაზრდელებთან მუშაობაში გატაცებული არიან წვრილმანი  
მეურვეობით, რის გამოც ადგილი აქვს ასეთი მოზარდების მხრიდან  
სამართალდარღვევების შემთხვევებს. მაგალითად, თელავისა და სოფელ  
კურდღელაურის სკოლის ძნელად აღსაზრდელმა მოსწავლეებმა გ. მალა-  
ციძემ და თ. ტუხაშვილმა სხვადასხვა დროს განმეორებით ჩაიდინეს  
დანაშაული, თუმცა ორივე მოზარდის შესახებ სკოლამ, მიკროუბნების  
მესვეურებმა, შეფმა შრომითმა კოლექტივებმა დიდი ხნით ადრე იცო-  
დნენ მათი ოჯახური მდგომარეობა.



მოზარდებთან ინდივიდუალურ შეფობას, უმეტეს შემთხვევაში ფორმალური ხასიათი აქვს.

არასრულწლოვანებთან პროფილაქტიკური მუშაობის შესუსტებამ რაიონში მოზარდთა დანაშაულის ზრდა განაპირობა. სახალხო განათლების განყოფილებას ჯერ კიდევ არ უკავია წამყვანი როლი იმ ორგანიზაციებთან ერთობლივ მუშაობაში, რომლებიც ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში; რაიონში ჯერ კიდევ არ არის მიგნებული კომკავშირის რაიკომთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მშობელთა საზოგადოებრიობასთან, შრომით კოლექტივებთან ქმედითი კონტაქტების ფორმები არასრულწლოვანთა დანაშაულის აღმოსაფხვრელად, ამის აუცილებლობას კი ქმნის ის ვარემოება, რომ სადღესოდ რაიონში 54 „არაკეთილსაიმედო“ ოჯახი და 45 არასრულწლოვანთა ინსპექციაში აღრიცხვაზე აყვანილი ძნელადღასაზრდელია.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ისეთი საგანგაშო დანაშაულის შემდეგაც კი, როდესაც მე-8 სკოლის სამმა მოსწავლემ ერთ ღამეში სამი დანაშაული ნასვამ მდგომარეობაში ჩაიდინა, სკოლის ადმინისტრაციას შემოწმების დროს არ ჰქონდა არაკეთილსაიმედო ოჯახებისა და ძნელადღასაზრდელთა აღრიცხვაც კი. პიონერებლმძღვანელმა არ იცოდა მასზე მიმავრებული პიონერის გვარი და ა. შ. ამ მიმართებით საქმის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა, აგრეთვე, საბინაო-საექსპლოატაციო უბნის პედაგოგ-ორგანიზატორს ეკისრება (ამხ. გ. ნუცუბიძე), რომლის მუშაობა ამჟამად არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, იგი არ იცნობს პედაგოგ-ორგანიზატორის დებულებასაც კი.

სახალხო განათლების განყოფილებასთან არსებული დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისა და დანაშაულის პროფილაქტიკის საკოორდინაციო საბჭოში, სკოლების პროფილაქტიკურ საბჭოებში იშვიათად იწვევენ იმ წარმოება-დაწესებულებების წარმომადგენლებს, სადაც ძნელადღასაზრდელი, სამართალდამრღვევი არასრულწლოვანის მშობელი მუშაობს (თელავის მე-8, სოფლების კურდღელაურისა და რუისპირის საშუალო სკოლები). არ ტარდება ზომები მშობელთა კრებების ქმედითუნარიანობის ასამაღლებლად. არ კეთდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ჩატარებული მუშაობის პედაგოგიური ანალიზი. კრებებზე იშვიათად მსჯელობენ ახალგაზრდა თაობის მოთხოვნების, მათი ინტერესების ჩამოყალიბების, საზოგადოებრივ მოვლენებში სწორი ორიენტირების უნარის ჩანერგვისათვის. უფერულია თამბაქოს წვეის, ალკოჰოლის წინააღმდეგ გაწეული პროფილაქტიკური მუშაობა. არ იყენებენ მშობელთა პედაგოგიზაციის ნაცად ფორმებს მათი სამსახურების მიხედვით. სკოლების პედაგოგიური კოლექტივე-

ბის უმრავლესობა ვერ უზრუნველყოფს მიკრორაიონისა და მთლიანად, რაიონის მასშტაბით. მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორ რაციონალურ ორგანიზაციას, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის მონაწილეობით არ ძალუძთ ზემოქმედება მოახდინონ სკოლის მოსწავლეთათვის არასასურველ გარემოზე (თელავის მე-8, სოფლების კურრდელაურის, ბუშეტისა და ნაფარეულის საშუალო სკოლები).

რაიონის სახალხო განათლების განყოფილება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები ვერ მართავენ ოპტიმალურად და ვერ იზიდავენ მშობელთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუშაობის, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საკითხებში. რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის (13640) მხოლოდ 14%-ს შეუძლია არასაგაკვეთილო დროს თავიანთი ინტერესების დაკმაყოფილება (ჭიდაობის სპეცსკოლა — 540 მოსწავლე, სპორტული თამაშების სკოლა — 601, ჩოგბურთის კორტები — 80. პიონერთა და მოსწველეთა სახლი — 330. 2 სამუსიკო სკოლა — 300, სულ 2000). სახალხო განათლების განყოფილებამ, პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან ერთად ვერ უზრუნველყო საზოგადოებრიობის დახმარებით ადგილებზე ინტერესების მიხედვით წრეებისა და კლუბების შექმნა.

მოზარდთა ზნეობრივი აღზრდისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებაზე ზრუნვა არა მარტო სკოლის, არამედ საბაზო, საშეფო ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების უპირველესი ამოცანაა, შრომითი კოლექტივებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის კონტაქტების განმტკიცება ხელს უწყობს აღმზრდელობითი პროცესის ქმედითობის ამაღლებას, მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებას

ეს განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა სოფლების იყალთოსა და ფშავლის მინი კოლმეურნეობების, სოფელ ლაფანყურის ეთერზეთების მინი მეურნეობის ხელმძღვანელების უფროსკლასელებთან გასაუბრების დროს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით პიონერულ, კომკავშირულ ორგანიზაციებზე, მოსწავლეთა კომიტეტებზე. ჯერ ძალიან სუსტია საშეფო და საბაზო საწარმოების შრომითი კოლექტივების, კომკავშირული ორგანიზაციების გავლენა მათზე. სწორედ ამიტომაც ვერ მსჯელობენ კომკავშირული ორგანიზაციების ლიდერები ძირითად პრობლემებზე, სადღეისო ამოცანებზე, იმავე დღეს ჩასატარებელ კრებაზე წასაკითხი მოხსენების ირგვლივ, მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარეები — მოსწავლეთა კომიტეტი სსტრუქტურაზე და ა. შ. (თელავის მე-7, სოფლების ფშავლის, ლაფანყურის, ნაფარეულის სკოლები).

ცალკეული უწყებები პასიურ შეფობას უწევენ ზოგადსაგანობა-  
თლებლო სკოლებს მოსწავლეთა შრომით აღზრდისა და მწარმოებლუ-  
რი შრომისათვის საჭირო პირობების შექმნაში. რიგ შემთხვევებში სა-  
ბაზო საწარმოთა უმრავლესობა არ ასრულებს დებულებით გათვლი-  
ლსინებულ მოთხოვნებს, არ ეხმარება სკოლებს მატერიალურ-ტექნი-  
კური ბაზის განმტკიცებაში, შრომითი სწავლებისათვის კაბინეტების  
მოწყობაში. გარდა სკოლა-ინტერნატებისა და 5 სკოლისა, არც ერთი  
სკოლა არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლეთა დასასაქმებლად სა-  
ჭირო სამუშაო ადგილებით. მომსახურებითი შრომის კაბინეტი არ გაა-  
ჩნია რაიონის 7 საშუალო და 3 რვაწლიან სკოლას. დაწყებით კლასებ-  
ში შრომითი სწავლების კაბინეტი არ მოწყობილა 10 საშუალო და 2  
რვაწლიან სკოლაში. თელავის სამკერვალო ფაბრიკაში, სადაც შესაბა-  
მისად თელავის მე-3 და მე-5 საშუალო სკოლების მოსწავლეები შრო-  
მით სწავლებას გადიან. მოწყობილი არ არის საზენიკლო. სამონტაჟო  
სახელოსნოები. საწარმოო ბრიგადებსა და სასწავლო მეურნეობაში  
გაერთიანებული მოსწავლეებისათვის არ არის შექმნილი შრომისა და  
დასვენების ნორმალური პირობები. საბაზო საწარმოებს არ გააჩნიათ  
სპეცტანსაცმელი მოსწავლეებისათვის, არ არის უზრუნველყოფილი  
მათი ტრანსპორტირება. საბაზო საწარმოები ხშირ შემთხვევაში სკო-  
ლასთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით ნა-  
კისრ ვალდებულებებსაც კი არ ასრულებენ. სოფელ რუისპირის სკო-  
ლისათვის ჯერ არ გადაუციათ დაპირებული ტრაქტორი (რუისპირის  
კოლმეურნეობა). ისევ შეუკეთებელია სოფელ სანიორის მასწავლებელ-  
თა სახლი (სანიორის კოლმეურნეობა), მეხუთე წელია აჭიანურებს  
სკოლის ავტოსადგურის მშენებლობას სოფელ კურდღელაურის კოლ-  
მეურნეობა, დაპირებულ საბეჭდ მანქანებს ელიან თელავის მე-4 სკოლის  
მოსწავლეები გზბალე-მევენახეობის თელავის საცდელი სადგურისაგან,  
დღემდე მოსწავლეთა ბრიგადები არ ჩამოუყალიბებია სოფლების კო-  
ნდოლისა და გულგულის საშუალო სკოლებს. ვერავითარ კრიტიკას  
ვერ უძლებს სოფელ ადგილებშიც კი სასკოლო საცდელი მიწის ნაკვე-  
თების მდგომარეობა (სოფლების იყალთოს, ლაფანყურის, წინანდლის  
საშუალო სკოლები). მეტ ყურადღებასა და დახმარებას საჭიროებს თე-  
თრი წყლების მეურნეობის მხრიდან მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო  
მეურნეობაც.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ 12 სკოლაშია სათანადო პი-  
რობები შექმნილი ექვსწლიანი ასაკის ბავშვთა კვების, ძილისა და გარ-  
თობა-დასვენებისათვის, გახანგრძლივებული ჯგუფებისათვის (თელავის  
მე-8. სოფლების ფშავლის, იყალთოს, ნათარეულის, ბუშეტის. კურდღე-  
ლაურის სკოლები).



ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რიგი პრობლემებისა, კერძოდ, მსგა

ხალხო განათლების ზოგიერთი დაწესებულების მატერიალური ბაზის მძიმე მდგომარეობა გამოწვეულია არა იმდენად ობიექტური მიზეზებით, რამდენადაც სასკოლო ინსპექტორთა, თვით ამ ობიექტების ხელმძღვანელთა, პედაგოგიურ, მოსწავლეთა და მშობელთა კოლექტივების უპასუხისმგებლობით, დაბალია თელავის მე-8, სოფლების ყარაჯალის, ნაფარეთლის და სხვა სასკოლო შენობების შენახვის, მოვლისა და ექსპლუატაციის კულტურა, მათი გარეგნული და შინაგანი იერ-სახე, მდარე გემოვნებით შესრულებული მოძველებული სტენდები და გამოფენები უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მხანველზე. გადახედვას მოითხოვს სასწავლო კაბინეტების, პიონერთა ოთახების, განსაკუთრებით ბიბლიოთეკების გაფორმება, სამწუხარო ის არის, რომ ეს გარემოება პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებს რატომღაც შეუმჩნეველი რჩებათ და ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული.

იმის შედეგად, რომ რაიონში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა პროფორიენტაციის ცენტრი (კაბინეტი), რომელიც ორგანიზაციას გაუწევდა მოსწავლეებთან და მშობლებთან პედაგოგიური კოლექტივების მუშაობას, გასული წლის 805 კურსდამთავრებულთა რიცხვიდან შრომაში ჩაბმული 713 პირიდან სკოლაში მიღებული პროფილის მიხედვით მუშაობს მხოლოდ 172, ხოლო სწავლაგაგრძელებული 522 პირიდან სასკოლო პროფილით მხოლოდ 20 ახალგაზრდა სწავლობს.

რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას მეტი ყურადღება და მომთხოვნელობა მართებს საკადრო საკითხების მართვისა და გადაწყვეტისადმი. სუსტია კადრების საქმიანობის სრულყოფისათვის გაწეული მუშაობა. კოორდინაციის, დაგეგმვისა და ორგანიზაციის დროს მთელ რიგ სკოლებში (სოფლების ფშავლის, ნაფარეთლის, ბუშეტის სკოლები) არავითარი ზომები არ არის მიღებული მუშაობის ძველი, დრომოკმული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. არ არის შემუშავებული კონკრეტული ღონისძიებანი მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი აღზრდის სრულყოფისათვის დღევანდელი დღის მოთხოვნილებათა შექმნე. ძირითადი მიზეზი ადგილებზე სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის მართვაშიცაა; არ იგრძნობა სათანადო მომთხოვნელობა და ზოგჯერ კომპეტენტურობაც კი მთელი რიგი სკოლების ხელმძღვანელთა მხრიდან (თელავის მე-8, სოფლების ნაფარეთლის, ბუშეტის სკოლები). სუსტია და პედაგოგიური კოლექტივების მართვაში სათანადოდ არ მოქმედებენ პედაგოგიური საბჭოები. შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში პედსაბჭოზე არ გამოკვეთილა მასწავლებელთა კოლექტივების პოზიცია. უმეტეს შემთხვევაში სკოლებში ოჯახთან, საზოგადოებრიობასთან კოორდინაციის მნიშვნელოვანი საკითხები დირექტორებს მინდობილი აქვთ ძირითადად კლასგა-



რეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორებზე, მათი <sup>გარეშე</sup> საც მათი უმრავლესობა (სოფლების ფშავლის, იყალთოს, ნაფარეულის, ქ. თელავის 1-ლი), გარდა იმისა. რომ ცუდად ერკვევა ამ თანამდებობისათვის განკუთვნილ ფუნქციებში, ნორმატიული დოკუმენტებით გაუთვალისწინებელ მოვალეობას ასრულებს, რაც იწვევს გადატვირთვას, მათი სამუშაო და თავისუფალი დროის არარაციონალურ გამოყენებას.

სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, კლასის ხელმძღვანელთა მიერ განსახილველად დაგეგმილი საკითხები არ პასუხობენ დღევანდელი მოთხოვნებს, სტიქიურია და ხშირ შემთხვევაში არ გამომდინარეობენ სკოლის, სოფლის, მიკრორაიონის ინტერესებიდან (თელავის მე-8, სოფლების იყალთოს, ფშავლის, ნაფარეულის, ბუშეტის სკოლები). ბოლო ორი წლის მანძილზე კი კლასის ხელმძღვანელთა გადამზადების კურსები მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ზონალურ ინსტიტუტებში გაიარა 50-მდე ამ კატეგორიის მუშაკმა.

სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის კოორდინაციისათვის საორგანიზაციო მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებები გარკვეულად გამოწვეულია სკოლების პედაგოგიური კოლექტივების, მათი დირექციების მიერ ხელმძღვანელი ორგანოების მითითებების ზერელე ცოდნით — მათი უმეტესობა არასაკმარისად ხელმძღვანელობს სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის, განათლების სამინისტროს კოლეგიის სახელმძღვანელო დოკუმენტებით (1982 წლის კოლეგიის გადაწყვეტილება „მშობელთა პასუხისმგებლობის ამადლების შესახებ“, 1984 წლის—გურჯაანის რაიონის მშობელთა კოლექტივების მუშაობის შესახებ, 1986 წლის—ქ. თბილისის მასწავლებელთა მე-9 კონფერენციის ინიციატივის შესახებ)“.

აღნიშნული საკითხის მართვაში ჯერ კიდევ არაა შექმნილი სისტემა. განათლების საბჭოზე კოორდინაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას არ იგრძნობა სიღრმისეული მიდგომა. სასკოლო ინსპექტორები სუსტად ასრულებენ მათზე მიმავრებული სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ორგანიზატორის როლს. იშვიათი გამონაკლისის გარდა კი (გ. მამულაშვილი — შრომითი აღზრდისა და სწავლების ინსპექტორი) მათ უდიდეს უმრავლესობას აუცილებლად არ მიაჩნია შეფ-შრომით კოლექტივებსა და საბაზო საწარმოებთან საიჭრო ურთიერთობა, არ იცნობენ საფუძვლიანად შინასასკოლო პრობლემებს, უყუარდლებოდ აქვთ მიტოვებული მიკრორაიონში აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, არ ქმნიან იმის პირობებს. რათა

26457

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
საქართველო



სკოლის ირგვლივ სუფევდეს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში მშობელთა და საზოგადოებრივ ძალთა მონაწილეობის მზადყოფნის ხელსაყრელი კლიმატი.

პედაგოგიური კოლექტივები მოკლებული არიან მიზანმიმართულ, სისტემატურ მეთოდურ დახმარებას. რაიონში არასაკმარისი ყურადღება ეთმობა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მუშაობის საინტერესო გამოცდილების გამოვლენასა და განზოგადებას. შემოწმების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები მოწმობს, რომ რაიონის სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობა დღევანდელ მოთხოვნათა თვალსაზრისით ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს.

### აღმზრდელითი მუშაობის სამმართველო

მოსწავლეთა ინტერნაციონალური მემოზროვის კლუბების 80-6

რესპუბლიკური დათვალვირების შედეგების შესახებ

28 მაისი 1987 წელი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ 1987 წლის 22, 23 მარტს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე ჩატარდა ინტერნაციონალური მემოზროვის კლუბების მე-6 რესპუბლიკური დათვალვირება დევიზით: „წინაპართა ნაკვალევზე“, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს.

მე-6 რესპუბლიკურ დათვალვირებაში ადგილებზე, ქალაქებსა და რესპუბლიკის რაიონებში მონაწილეობა მიიღო თბილისისა და რესპუბლიკის 1400-მდე ინტერკლუბის 9000-ზე მეტმა წარმომადგენელმა. შემაჯამებელ სხდომაში მონაწილეობდა ბევრი ცნობილი მეცნიერი, თბილისისა და რესპუბლიკის სკოლების 121 მოსწავლე, 70 პედაგოგი.

დათვალვირებაზე წარმოდგენილი ინტერკლუბის მუშაობის ამსახველი აღბომები ატარებდა მეტად საინტერესო შემოქმედებით და საძიებო ხასიათს. მათში ასახული იყო ნორჩ ინტერნაციონალისტთა მონაწილეობა სრულიად საკავშირო ალკვ და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საკავშირო აქციებში: „რევოლუციური ნაბიჯით იარ“, „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები“, „სალუტი, მშვიდობა“, ასევე მშვიდობის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კამპანიაში „ბავშვებს მშვიდობა სურთ“.

მოსწავლეთა ინტერკლუბების მე-6 რესპუბლიკური დათვალვირების დებულების თანახმად, სასკოლო ინტერკლუბებს დავალებული ჰქონდათ, დაემზადებინათ თვითნაკეთი სუვენირები სოლიდარობის ბა-



ზრობისათვის. თითოეული ინტერკლუბი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალებას, რამაც ბაზრობის ფართო მასშტაბურობა გამოიწვია.

დათვალიერების მიმდინარეობის დღეებში სასახლის წინა მოედანზე ჩატარდა სოლიდარობის ბაზრობა და შემოსული თანხა (400 მან.) მშვიდობის ფონდში გადაირიცხა.

დათვალიერების თითქმის ყველა მონაწილემ სწორად გაიგო დევიზი: „წინაპართა ნაკვალევზე“ და შეეცადა საქვეყნოდ გამოეტანა მშობლიური რაიონის თუ ქალაქის მოწინავე ადამიანთა უანგარო ცხოვრება, გმირული წარსული და უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვა.

საინტერესო და შრომატევადი სამსახური გასწიეს აი მიმართებით: ქ. ტყიბულის, ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოს, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის, საჩხერის რაიონის სოფელ სხეიტორის, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის, ლაგოდეხის 1-ლი, თბილისის მე-4 საშუალო სკოლებისა და ხულოს რაიონის სკოლა-ინტერნატის ინტერკლუბებმა.

დათვალიერებაში აქტიურად ჩაება ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის საშუალო სკოლა, რომელმაც მიმოწერის საინტერესო ფორმა გამოიჩინა. მოსწავლეებს კავშირი აქვთ დამყარებული ყველა იმ ქალაქის სამხედრო ნაწილთან, სადაც სამხედრო სავალდებულო სამსახურს თავიანთი სკოლის კურსდამთავრებულები გადიან.

მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მე-6 რესპუბლიკური დათვალიერების მონაწილეთა შერჩევასა და ნამუშევრების წარმოდგენას პასუხისმგებლობით მოეკიდა ბათუმის, ქუთაისის, რუსთავეის, გორის, ზუგდიდის, ხულოს, ახალციხის, ზესტაფონის, ჭიათურის, ფოთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ღუშეთის, ჩოხატაურის, საჩხერის, ცხაკაიას, ქედის, ჩხოროწყუს, გურჯაანისა და თბილისის ათივე რაიონის განათლების განყოფილება, რამაც განაპირობა გორის მე-0, ჭიათურის მე-3, სოფლების მუხურის, გეჯეთის, ბათუმის მე-6, მე-7 სკოლების, ხულოს რაიონის სკოლა-ინტერნატის, თბილისის 87-ე, 72-ე, 161-ე, და მე-4 საშუალო სკოლების ინტერკლუბების მიერ შეგროვებული საინტერესო მასალები.

გასულ ზაფხულს, როცა ქვეყანა ჩერნობილის ამბავმა შეძრა, რესპუბლიკის ნორჩმა ინტერნაციონალისტებმა შექმნეს შრომითი ბრიგადები, ხოლო გამომუშავებული თანხა ჩერნობილის ფონდში გადაირიცხეს.

ამ მხრივ თავი გამოიჩინეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის, ცხაკაიას, გურჯაანის, ქედის რაიონების ინტერკლუბებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ინიციატივა, რომელიც რესპუბლიკის ნორჩმა



ინტერნაციონალისტებმა სტიქიური უბედურებით დაზარალებულ რაიონების თანატოლებისადმი გამოიჩინეს.

ამ კუთხით აღნიშვნის ღირსია მაიაკოვსკის, სიღნაღის, ტყვარჩელის, გურჯაანის, თბილისის კიროვის, 1-ლი მაისისა და 26 კომისრის რაიონები.

მაიაკოვსკის რაიონის პიონერთა სახლის ინტერკლუბის წევრებმა ივალდებულეს დაამზადონ 300 მოსწავლის ფორმა საშეფო სამკერვალო ფაბრიკაში.

სოფელ კარდანახის საშუალო სკოლამ მე-700 ანგარიშზე გადარიცხა 1763 მან., თბილისის 24-ე სკოლამ 1000 მან., 72-ე სკოლამ 334 მან. და სხვა.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, რესპუბლიკის საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა სახლებისა და სასახლეების ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების საქმიანობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები, რომლის გამო-სწორებაში აქტიურად უნდა ჩაებან შესაბამისი განათლების განყოფილებები და რაიონული კომიტეტები. სწორედ ამ უკანასკნელთა არასათანადო მომთხოველობის შედეგია ის, რომ მიმდინარე დათვალიერებაში მონაწილეობა არ მიუღიათ: ადიგენის, ბოგდანოვის, დმანისის, ყაზბეგის, ყვარლის, მარნეულის, წალენჯიხის, ქარელის, ვალის, ოჩამჩირის, ხელვაჩაურის, ლენინგორის, ზნაურისა და ჯაეის რაიონებს.

მე-6 რესპუბლიკური დათვალიერების დასკვნით დღეებში სასკოლო ინტერკლუბების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ურთიერთ-გაზიარების მიზნით, ჩამოსულმა და ადგილობრივმა მოსწავლეებმა, პედაგოგებმა გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს პროფილურ სექციებზე. სასკოლო ინტერკლუბების პრეზიდენტებისათვის სექციური სხდომა ჩატარდა სასახლეში, ინტერკლუბის ხელმძღვანელ-პედაგოგებისათვის 87-ე საშუალო სკოლის ბაზაზე. სექციების მუშაობაში მონაწილეობას დებულობდნენ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ტაბაღუა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე მდივანი ბორის ზნამენსკი.

ორივე სექციურ სხდომაზე ყურადღება გამახვილდა სასკოლო ინტერკლუბებისათვის აუცილებელ სადღეისო პრობლემებზე. გაიშალა მუშაობის ის ფორმები და მეთოდები, რომლებსაც ადგილებზე იყენებენ, როგორც ხელმძღვანელ-პედაგოგები, ასევე მოსწავლეებიც. სექციების მუშაობაში მონაწილე მეცნიერებმა და ოფიციალურმა პირებმა მრავალი ყურადღებები რჩევა-დარიგება და რეკომენდაცია გაუწიეს სასკოლო ინტერკლუბების პრეზიდენტებსა და პედაგოგებს.

სექციურმა მუშაობამ გამოავლინა ის ნაკლოვანი მხარეები, ზოგადია თითქმის ყველა სასკოლო ინტერკლუბისათვის.

ასე მაგალითად: სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, ოპერატიულობა, სექციური მუშაობის დახვეწა, გაწეული ს აქმიანობის პროპაგანდა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტეს:

1. ძირითადად მოწონებულ იქნას საქმიანობა, რომელიც გასწიეს რესპუბლიკის განათლების განყოფილებებმა, კომკავშირის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებმა, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მე-6 რესპუბლიკური დათვალიერების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად.

2. დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის რესპუბლიკის სკოლებისა და პიონერთა სახლების ინტერკლუბების 48 ნორჩი ინტერნაციონალისტი დაჯილდოვდეს საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის სიგელით.

3. მოსწავლეთა ინტერნაციონალური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს სკოლებისა და პიონერთა სახლების ინტერკლუბების მუშაობაზე პასუხისმგებელი 33 პედაგოგი და პიონერხელმძღვანელი.

4. მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მე-6 რესპუბლიკურ დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელით დაჯილდოვდეს სკოლებისა და პიონერთა სახლების 38 ინტერკლუბი.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დავალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელი-თი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი      საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მდივანი

**ბ. ვასაძე**      **ჯ. მარგველიძე**



კოლეგია აღნიშნავს, რომ 1987 წლის 28 აპრილს მაღალი ორგანიზებულობის ვითარებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულსიკვეთებით ჩაიარა საქართველოს მასშავლებელთა მე-6 ყრილობამ. ყრილობისათვის ნიშანდობლივი იყო ის, რომ ამ დიდ პედაგოგიურ, შემოქმედებით საბჭოზე შეიკრიბნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საუკეთესო მასწავლებლები და საწარმოო სწავლების ოსტატები.

ყრილობის 300-ზე მეტი დელეგატი წარმოადგენდა რესპუბლიკის სახალხო განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორასათასიან რაზმს.

ყრილობას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები, სამინისტროებისა და უწყებების, საბაზო მეურნეობებისა და საწარმოების ხელმძღვანელები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანხ. ჯ. ი. პატიაშვილმა, სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილემ ანხ. მ. ი. ყურავლიოვამ.

ყრილობაზე გულახდილი და პრინციპული მსჯელობა გაიმართა რეფორმის იდეების ცხოვრებაში ხორცშესხმის ეფექტური გზების შესახებ, გაანალიზებულ იქნა ამ საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეში არსებული ჩამორჩენის მიზეზები.

რესპუბლიკის მასშავლებელთა ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ანხ. ჯ. ი. პატიაშვილის გამოსვლამ, რომლის დებულებები და დასკვნები საფუძვლად დაედო რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების შემდგომ საქმიანობას. მან აღნიშნა, რომ ახლა შეცდომებისა და დაუდევრობათა მიზეზები კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ვეცადოთ ოპერატიულად გამოვასწოროთ მდგომარეობა. საჭიროა მუდმივად სრულყოფილად რეფორმას თვით ცხოვრების მოძრაობაში, ის უნდა ვითარდებოდეს დასახულ ტემპში.

ანხ. ჯ. ი. პატიაშვილმა გაანალიზა რეფორმის ისეთ საკვანძო პრობლემებში არსებული უმოქმედობის მიზეზები, როგორცაა: სკოლების მშენებლობა, შრომითი სწავლება და აღზრდა, მასწავლებელთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების ორგანიზაცია, მათი ატესტაცია, საკადრო მუშაობა. მან მიუთითა დემოკრატიული საწყისების გაფართოებისა და რესპუბლიკის სახალხო განათლების ყველა რგოლის



